სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

23.. ივლისი, 2026 წელი

ბრძანება № 01-10/78

ბსუ-ს მოკლევადიან ტრენინგ-მოდულზე **,,აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება"** 2026 წლის 29 მაისის №01-04/102 ბრძანებით ჩარიცხულ მსმენელთა (ონლაინ სწავლების) ჯგუფისათვის მოწვეული **პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24 მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №68/ნ ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/193 ბრძანების, ბსუ-ს „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის" სკოლამდელი აღზრდის მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო **პროგრამის** - „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება" დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის **2021 წლის 30 ივნისის №01-02/101 ბრძანების,** „ბსუ-ს მოკლევადიანი პროგრამის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება" სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **2024 წლის 26 იანვრის №01-10/05 ბრძანების,** „ბსუ-ს მოკლევადიანი და სარეზიდენტო პროგრამების პირველადი ბიუჯეტის **(ხარჯთაღრიცხვის) შედგენის წესის** დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 19 თებერვლის №07-10/04 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს მოკლევადიანი პროგრამის მსმენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის **2026 წლის 20 თებერვლის №01-02/34 ბრძანების,** ბსუ-ს მოკლევადიან საგანმანათლებლო ტრენინგ-მოდულზე ,,აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება" მსმენელთა ჩარიცხვის (ონლაინ სწავლების ჯგუფი) და ტრენინგების ორგანიზება–ჩატარებისათვის საჭირო პერსონალის მოწვევის შესახებ" **2026 წლის 29 მაისის №01-04/102 ბრძანების,** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მასწავლებელთა გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების კოორდინატორის, ასოც. პროფ. თემურ ავალიანის 2026 წლის 16 ივლისის №933570 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს მოკლევადიან საგანმანათლებლო ტრენინგ-მოდულზე ,,აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება" მსმენელთა ჩარიცხვის **(ონლაინ სწავლების ჯგუფი)** და ტრენინგების ორგანიზება–ჩატარებისათვის საჭირო პერსონალის მოწვევის შესახებ" 2026 წლის 29 მაისის №01-04/102 ბრძანებით ჩარიცხულ მსმენელთა სწავლის საფასურის (1 მსმენელისათვის - 350 ლარი - №01-10/05, 26.01.2026 წ. ბრძანების **№3 დანართის** მიხედვით) გათვალისწინებით განისაზღვროს მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა და დამტკიცდეს ხარჯთაღრიცხვა, წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. ბრძანება დაეგზავნოს: რექტორის მოადგილეს (თ. სირაძეს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრს, თემურ ავალიანს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე

,ბსუ-ს მოკლევადიან ტრენინგ-მოდულზე ,,აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ 2026 წლის 29 მაისის №01-04/102 ბრძანებით ჩარიცხულ მსმენელთა (ონლაინ სწავლების) ჯგუფისათვის მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 23 ივლისის №01-10/78 ---------ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს მოკლევადიან საგანმანათლებლო ტრენინგ-მოდულზე ,,აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ მსმენელთა ჩარიცხვის (ონლაინ სწავლების ჯგუფი) და ტრენინგების ორგანიზება–ჩატარებისათვის საჭირო პერსონალის მოწვევის შესახებ“ 2026 წლის 29 მაისის №.01-04/102 ბრძანებით შექმნილი ონლაინ სწავლების ჯგუფის მსმენელთათვის

მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა და ხარჯთაღრიცხვა

(სასწავლო პროცესი: 2026 წლის 30 მაისიდან 30 სექტემბრამდე)

	ბსუ-ს ტრენინგ-მოდული/მოკლევადიანი პროგრამაზე „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ **ონლაინ სწავლების ფორმატის** მსმენელთა ჯგუფში **სწავლის საფასური, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა (ტარიფი) და ხარჯთაღრიცხვა 12 მსმენელზე**	
1.	სწავლის საფასური 1 მსმენელზე (დღგ-ს ჩათვლით).	**350 ლარი**
2.	**სულ შემოსავალი** 12 მსმენელის ჯგუფზე (დღგ-ს ჩათვლით)	**4200 ლარი**
3.	**ხარჯები**	
3.1.	**პერსონალის შრომის ანაზღაურება, მათ შორის:**	
3.1.1.	ტრენერ(ებ)ი **(1 სთ - 29 ლარი)**, დატვირთვა 66 საათი **ერთ ჯგუფზე).**	1914 ლარი
3.1.2	ასისტენტი ნაშრომების გასწორებისათვის, (1 სთ 29 ლარი, სულ დატვირთვა - 7 სთ).	203 ლარი
3.1.3	**დამხმარე პერსონალი** - ასისტენტი ტრენინგის ორგანიზაციული საკითხების, დოკუმენტაციის და სერტიფიკატების მომზადების საკითხებში, 1 სთ 29 ლარი, სულ დატვირთვა 11 საათი)	319 ლარი
3.1.4.	**დამხმარე პერსონალი** - ასისტენტ(ებ)ი სასწავლო პროცესის მონიტორინგის და სერტიფიკატების აღრიცხვა-გაცემის საკითხებში, (1 სთ - 29 ლარი, სულ დატვირთვა - 3 საათი)	87 ლარი
4.	**სხვა ხარჯები**	
4.1.	მატერიალური რესურსი (საკანცელარიო ნივთები, სახარჯი მასალა და სხვ)	0 ლარი
4.2.	სერტიფიკატების ხარჯი (1,4 ლარი 1 მსმენელზე)	16,80 ლარი
5.	ბსუ-ს სხვა დანარჩენი ხარჯი და შემოსავალი (დღგ-ს გარეშე საერთო შემოსავლის 28%)	1 019.52 ლარი
6	**სულ**	**3 559.32 ლარი**
7	**დღგ**	640.68 ლარი